პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 68 (4062)

1970 წ. 7 აპრილი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ჩვენი სტუმრები

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საინტერესო საერთაშორისო მატჩი: ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოსა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები.

ჩვენს სტუმრებს მსოფლიოს საჭიდაო სარბიელზე საკმაოდ მაღალი და მყარი ადგილი უკავიათ. საკმარისია გავიხსენოთ ჭიდაობის ისეთი უბადლო ოსტატები, როგორიც იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიადების პრიზიორი ბ. სიმიჩი (საშუალო წონა), მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიადის პრიზიორი ს. ხორვატი (მსუბუქი), ოლიმპიადის პრიზიორი ბ. მარტინოვიჩი (ქვემსუბუქი), ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი ბ. მარიენკო (უმძიმესი) და სხვ. ვეტერანებმა დატოვეს სპორტი. მათი ადგილი დაიკავეს ახალგაზრდებმა, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ უფროსი თაობის ტრადიციებს.

შარშან იტალიაში იუგოსლავიის გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა (სსრ კავშირის ათლეტები ამ ტურნირში არ გამოსულან). ეს უდავოდ დიდი წარმატებაა. ჩვენს დედაქალაქს ეწვივნენ იუგოსლავიის უძლიერესი მოჭიდავენი, საუკეთესოთა შორის საუკეთესონი: ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ნენადიჩი (პირველი საშუალო წონა), ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი დიმიანოვიჩი (პირველი ქვესაშუალო), ევროპის ჩემპიონი ჩორჩი (მეორე საშუალო). გუნდის დანარჩენი წევრები თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები და ბევრ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულნი არიან.



საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ ჩვენი ცნობილი „კლასიკოსები“, სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები: მაჭავარიანი (პირველი საშუალო წონა), ლეკვეიშვილი, სირბილაძე (ორივე — პირველი ქვესაშუალო), რ. და ქ. ლულუნიშვილები (პირველი და მეორე საშუალო), ჭელიძე (მეორე ქვესაშუალო), ტატიშვილი (მსუბუქი), გოგლიჩიძე (მეორე საშუალო) და სხვ.

* * *

სურათზე: იუგოსლავიის მოჭიდავეები და მათი მასპინძლები თბილისის აეროპორტში.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

# წაგება არავის უნდოდა

მაგიდის ჩოგბურთში ევროპის ჩემპიონობა მეოთხედ მოიპოვა შვეციის ვაჟთა გუნდმა. 4 აპრილს საღამოს, როცა მოსკოვის სპორტის სასახლეში 7 ათასამდე მაყურებელი შეიკრიბა, შვედებმა გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 5:4 დაამარცხეს იუგოსლავიის გუნდი. ეს იყო ნამდვილი ფინალი, უშეღავათო ბრძოლა, რომელიც თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა. თავიდან შვედები აგებდნენ — 0:2, 1:3, 2:4. იუგოსლაველ ჩოგბურთელებს გამარჯვებისთვის მხოლოდ ერთი ქულა სჭირდებოდათ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. გუნდს უღალატა მისმა ლიდერმა — ევროპის ჩემპიონმა დ. შურბეკმა, რომელმაც ამ საღამოს სამივე მეტოქესთან წააგო. დაძაბულ ბრძოლაში ნერვებმა უღალატა შვედების პირველ ჩოგანს, ევროპის ორგზის ჩემპიონს ჩ. იუჰანსონსაც, რომელმაც სამ შეხვედრაში მხოლოდ ქულა აიღო.

მაგრამ, როცა იუგოსლაველებს მინიმალური უპირატესობა (4:3) ჰქონდათ, თამაშში გარდატეხა შეიტანა 17 წლის შვედმა მოსწავლემ ს. ბენგტსონმა. მან ანგარიშით 2:1 მოუგო იუგოსლაველ ი. კორპას. ევროპის ჩემპიონებს გადამწყვეტი ქულა მოუტანა ვეტერანმა ჰ. ალსერმა, რომელმაც დაამარცხა ი. კარაკაშევიჩი — 2:0.

„დღევანდელი საღამო ყველაზე ბედნიერია ჩემს ცხოვრებაში, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ბენგტსონმა, — ჩვენ ვიცოდით, რომ იუგოსლავიის ნაკრები ძალიან ძლიერი მეტოქეა, მე კი დავიფიცე, რომ გამარჯვებისთვის თავს არ დავზოგავდი. ამასთან, დღეს ბედიც გვწყალობდა“.

...ფინალური მატჩის დროს უნებურად ვფიქრობდით: რა იქნება, რომ საბჭოთა ვაჟთა გუნდიც ასე მონდომებით, ასეთი თავდადებით თამაშობდეს? ამ საყვედურს, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით საბჭოთა ქალთა გუნდზე, რომელმაც ფინალში დაამარცხა მრისხანე მეტოქეები — ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელები — და ჩემპიონთა ოქროს მედლები მოიპოვა (მოსკოველები ზ. რუდნოვა და ს. გრინბერგი, ბაქოელი რ. პოლოსოვა და კაუნასელი ა. სკარულენე პირველად გახდნენ ევროპის ჩემპიონები. მათ შეჯიბრებისთვის ამზადებდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. შპრახი). შემდეგ ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, რუმინეთის, გდრ-ისა და პოლონეთის ნაკრები კოლექტივები.

ვაჟთა გუნდები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: I. შვეცია, II. იუგოსლავია, III. სსრ კავშირი, IV. უნგრეთი, V. გფრ, VI. ჩეხოსლოვაკია.

(საკდესი).

# 20 45

◆ ვარშავა, 6 აპრილი. უეფა-ს ტურნირის შესარჩევ ჯგუფში სსრ კავშირის იუნიორ ფეხბურთელებთან ერთად მოასპარეზე პოლონელებმა და რუმინელებმა ერთმანეთში ფრედ ითამაშეს — 1:1. 23 აპრილს ისინი განმეორებით მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს, 19 აპრილს კი სსრ კავშირის ნაკრები თავის ბოლო მატჩს ჩაატარებს რუმინეთში.

გადამწყვეტი თამაშების წინ ამ ჯგუფის სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 1 | 1 | 1 | 3—1 | 3 |
| პოლონეთი | 1 | 1 | 1 | 2—4 | 3 |
| რუმინეთი | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |

◆ ლენინგრადი, 6 აპრილი. ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლების მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატში ტ. პოლუბოიაროვამ ახალი საკავშირო მიღწევა დაამყარა დარბაზებისთვის — 200 მეტრზე თარჯრბენში 28 წამი აჩვენა.

# ევროპაში უძლიერესნი

ბრატისლავა, 6 აპრილი. გუშინწინ აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი კიევის „სპარტაკისა“ და „სკ ლაიპციგის“ (გდრ) ხელბურთელ ქალთა გუნდებს შორის. უაღრესად დაძაბული, უშეღავათო ბრძოლა კიეველთა გამარჯვებით დამთავრდა — 9:7 (6:3). ამრიგად, თასი კაუნასიდან (იგი იქაურ „ჟალგირისს“ ეპყრა) კიევში გაემგზავრა.

მთელი შეხვედრა უკრაინელი სპორტსმენების უპირატესობით მიმდინარეობდა. მართალია, გერმანელებმა თამაშის 31-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის მინიმუმამდე დაყვანა (6:7), მაგრამ კიეველებმა მატჩის ბოლო ნაწილი ბრწყინვალედ ჩაატარეს. ამ დროს განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ზ. ტურჩინამ, რომელმაც ზედიზედ 2 გოლი გაიტანა და გუნდს სანუკვარი გამარჯვება მოუტანა.

# კოლუმბია — მორიგი კანდიდატი

1986 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობა განზრახული აქვს კოლუმბიას, — იუწყება ბულგარული გაზეთი „ნაროდენ სპორტი“. კოლუმბიამ ოფიციალურად დააყენა ეს საკითხი ფიფა-ში.

მანამდე კი, როგორც ცნობილია, კანდიდატებად ირიცხებიან: 1974 წლის ჩემპიონატისა — გფრ, 1978 წლისა — არგენტინა, 1982 წლისა — სსრ კავშირი, იუგოსლავია, ან ესპანეთი.



დარბაზში რახმანინოვის მუსიკა აჟღერდა. მაღალმა, ტანადმა ქალიშვილმა შესრულების თამამი მანერით მოხიბლა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობის მაყურებლები. ეს იყო აჭარის ჩემპიონი, 16 წლის ი. ომიოტოვა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა მან სახტუნებლით ვარჯიშით.

* * *

სურათზე: ი. ომიოტოვა.

ფოტო ვ. ბუკინისა.

კეჩკემეტი, 5 აპრილი. მოცურავეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ფაშიზმისგან უნგრეთის განთავისუფლების 25-ე წლისთავს ეძღვნება, ნორჩმა მასპინძელმა გოგონამ ანდრეა დიარმატიმ კიდევ ერთი ევროპული რეკორდი დაამყარა: 50-მეტრიან აუზში 200 მ გულაღმა 2 წუთსა და 27,6 წამში გაცურა. ძველი რეკორდი (2.27,9) ფრანგ კ. კარონს ეკუთვნოდა 1966 წლის ივნისიდან.

სიდნეი, 5 აპრილი. ავსტრალიის მოცურავეთა ჩემპიონატის მონაწილეებისთვის 50-მეტრიანი აუზის წყალი მეტად სწრაფი გამოდგა: სპორტსმენებმა რამდენიმე მაღალი შედეგი აჩვენეს, კარენ მორასმა კი 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 9.09,1, რაც ამერიკელი დ. მაიერის ძველ მიღწევას 1,3 წამით სჯობს. მაგრამ ეს მორასის ერთადერთი გამარჯვება როდი იყო: მან მოიგო, აგრეთვე, 200 და 400 მეტრზე ამავე სტილით ასპარეზობა — 2.09,8 და 4.26,3. 100 მეტრზე ცურვის ამ სახეობაში ჩემპიონი გახდა ს. უოთსონი — 1.01,7. მისივე გამარჯვებით დამთავრდა 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვა — 1.09,2 და 2.28,9. 100 და 200 მეტრზე ბრასით ყველას აჯობა უიტფილდმა — 1.18,5 და 2.48,0, ხოლო 100 მეტრზე ბატერფლაით — 18 წლის მებიმ — 1.07,2. ვაჟებში 3 პირველი ადგილი ხვდა ფინდლეის: იგი ჩემპიონი გახდა 200 მეტრზე ბატერფლაით (2.10,2), 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.18,0 და 4.49,6, უენდენმა ყველას აჯობა 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით — 54,0 და 1.59,4.

პორი, 5 აპრილი. ფინეთის ამ ქალაქში მექსიკის ოლიმპიადის ჩემპიონმა ქვემძიმე წონაში კაარლო კანგასნიემიმ ძალა მოსინჯა ახალ წონით კატეგორიაში — მძიმეში, და ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა ატაცში — 162 კგ. წინანდელი მიღწევა (161,5) ტარტუელ კ. უტსარს ეკუთვნოდა.

სტოკჰოლმი, 6 აპრილი. შვეციის ძალოსანთა ჩემპიონატში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჰ. ბეტენბორგმა (საშუალო წონა), რომელმაც 178 კგ აჰიმა. ამრიგად, თავისივე ძველ მიღწევას მან ნახევარი კგ დაუმატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვლადიმერ ილიას ძე ლენინი — ფიზიკური ვარჯიშის პოპულარიზატორი

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზკულტურასა და სპორტს. 1921 წლის 15 სექტემბერს მან ხელი მოაწერა დეკრეტს „რსფსრ-ს ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", რომელშიც ფიზიკურ კულტურაზეა ყურადღება გამახვილებული. ამ დარგში მუშაობის სათანადო ხელმძღვანელობა დაევალა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, ხოლო ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ლენინის წინადადებით დაინიშნა თვით ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ნ. სემაშკო.

ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვარჯიშს შრომისუნარიანობის ამაღლების საქმეში. სტატიაში „კარლ მარქსი", რომელიც 1914 წელს დაიწერა, ვლადიმერ ილიას ძეს მოჰყავს თავისი გენიალური წინამორბედის სიტყვები „კაპიტალიდან": „საფაბრიკო სისტემა გვიჩვენებს მომავლის ეპოქის აღზრდის ჩანასახს, როცა ყველა ბავშვისთვის განსაზღვრული ასაკის ზევით საწარმოო შრომა შეერთებული იქნება სწავლასა და გიმნასტიკასთან არა მარტო როგორც ერთ-ერთი საშუალება საზოგადოებრივი წარმოების გასადიდებლად, არამედ აგრეთვე როგორც ერთადერთი საშუალება ყოველმხრივ გავითარებულ ადამიანთა შესაქმნელად". (თხზ. ტ. XXI. მე-4 გამოცემა).

ვ. ი. ლენინის თანამებრძოლებისა და ახლო მეგობრების ნ. კრუპსკაიას, ნ. სემაშკოს, კ. ცეტკინის, გ. კრჟიჟანოვსკისა და სხვათა მოგონებებით მტკიცდება ის დიდი ინტერესი, რომელსაც ვლადიმერ ილიას ძე იჩენდა ფიზკულტურისა და სპორტის მიმართ არა მარტო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით, არამედ პირად ცხოვრებაშიც. „ახალგაზრდობას, — ამბობდა ვ. ი. ლენინი კლარა ცეტკინთან საუბარში, — განსაკუთრებით სჭირდება ხალისი და მხნეობა. ჯანსაღი სპორტი, ტანვარჯიში, ცურვა, ექსკურსია, ყოველგვარი ფიზიკური წვრთნა... ყველაფერი ეს შეძლებისდაგვარად შეხამებულად". (კ. ცეტკინი, მოგონებები ლენინზე. მოსკოვი, 1955 წ.).

ფიზკულტურითა და სპორტით ბელადი თავადაც ძალიან იყო გატაცებული. იგი შესანიშნავად დადიოდა თხილამურებით, ცურავდა, სრიალებდა ციგურებით, ზუსტად ისროდა ნიშანში, თამაშობდა ჭადრაკს, სეირნობდა ველოსიპედით და ა. შ.

სწორედ ამიტომ იყო იგი ასეთი „მაგარი, მკვრივი, მოძრავი. როცა ის ორატორის ტრიბუნასთან იდგა, მძაფრ წუთებში მკვეთრად იხრებოდა წინ, ხელებს ზურგზე დაიწყობდა, ან ორივე ხელს მძლავრად გაშლიდა ჰაერში, მასში იგრძნობოდა მოციგურავე, მოცურავე. მისი ასაკის კაცისთვის, რომლისთვისაც სპორტი ვალის მოხდა არ იყო, ფიზიკური მოძრაობისადმი სიყვარული ხასიათის გამოხატულებას წარმოადგენდა" (ჟურნალი „ნოვი მირ", № 9. 1958 წ. ე. დრაბკინას მოგონება ვ. ი. ლენინზე).

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სიყვარულს ვლადიმერ ილიას ძე უნერგავდა თავისი ოჯახის წევრებსა (დედას, დას, ძმას) და ახლობლებსაც. ლენინის თხზულებებში და პირად წერილებში ბევრ ადგილას გვხვდება მისი აზრი ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის ფიზიკური ვარჯიშის მნიშვნელობის შესახებ.

მაგალითად, ერთ-ერთ წერილში ინესა არმანდს იგი შემდეგს სწერს: „თხილამურებით დადიხართ? უთუოდ იარეთ! ისწავლეთ, თხილამურები გაიჩინეთ და გასწიეთ ხოლმე მთებში — აუცილებლად. კარგია ზამთარი მთებში! საუცხოოა და რუსეთის სუნი დის". (თხზ. ტ. XXXV).

1894 წლის დეკემბერში ლენინი ანალოგიურ რჩევას აძლევს თავის დას მ. ულიანოვას. ურჩევს, ხშირად გამოვიდეს სუფთა ჰაერზე, ისრიალოს ციგურებით და ა. შ.



როგორც ცნობილია, ცხრაასიან წლებში მ. ულიანოვა ხშირად იყო დაპატიმრებული და გადასახლებული. ვლადიმერ ილიას ძეს ძალიან აწუხებდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც შესაძლოა გაუარესებულიყო ხანგრძლივად საკანში ჯდომითა და უმოძრაობით. იგი დას სწერს: „... არ დაივიწყო ყოველდღიური სავალდებულო გიმნასტიკა, თავს ძალა დაატანე და შეასრულე რამდენიმე ათეული (დაუთმობლად) სხვადასხვა მოძრაობა. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს" (თხზ. ტ. XXXVII).

1912 წელს მ. ულიანოვა ვოლოგდაში იყო გადასახლებული. მისი ჯანმრთელობა სერიოზულად შეირყა და სისხლნაკლებობა განუვითარდა. ამან მეტად შეაწუხა ვლადიმერ ილიას ძე, რომელიც კრაკოვიდან მიწერილ წერილში ამ მდგომარეობიდან გამოსავალს კვლავ ტანის გავარჯიშებაში ხედავს:

„შენ კი ახლა ალბათ „საპყრობილის სისხლნაკლებობა", ან, შესაძლოა, წინანდელი სისხლნაკლულობის გამწვავება გაქვს? უნდა მიიღო ზომები — იციგურაო. დამიჯერე ნუ უგულებელყოფ ამას!" (თხზ. ტ. XXXVII). თითქმის ასეთივე შინაარსისაა დედისადმი მიწერილი ბარათიც. ციხეში მყოფ დიმიტრისთვის მზრუნველი ძმა აუცილებლად თვლის დიეტის დაცვას და დღეში რამდენიმეჯერ ფიზიკური ვარჯიშის ჩატარებას.

„შემიძლია ვურჩიო (დიმიტრის. — რ. ს.) ტანვარჯიშის საკმაოდ მოხერხებული (თუმცა სასაცილო) ილეთი — 50-ჯერ მიწამდე დახრა. მე სწორედ ასეთ გაკვეთილს დავინიშნავდი ხოლმე და არ ვერიდებოდი იმას, რომ ზედამხედველი, სარკმელში რომ იჭვრიტებოდა, გაოცებული იყო, საიდან გაჩნდა ასეთი ღვთის მორწმუნე ის კაცი, რომელმაც ერთხელაც არ ისურვა შესულიყო წინასწარი პატიმრობის სახლის ეკლესიაში" (თხზ. ტ. XXXVII).

ვ. ი. ლენინს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ამ დიდ პოპულარიზატორს, 1921 წლის ნოემბერში გულთბილი წერილი გაუგზავნეს ფიზკულტურის სამხედრო სკოლის მასწავლებლებმა და მსმენელებმა. ისინი მხურვალე აღფრთოვანებას და სიხარულს გამოთქვამდნენ ავადმყოფობის შემდეგ ვ. ი. ლენინის სამსახურებრივ პოსტზე დაბრუნების გამო. ამასთან, მათ ბელადს გაუგზავნეს ორი წყვილი თხილამური და სკოლის საუკეთესო ინსტრუქტორი სათხილამურო სპორტში. „თქვენი ფოლადისებური ნებისყოფისთვის აუცილებელია ჯანმრთელი სხეული. ზამთარში თხილამურები ჯანმრთელობის საწინდარია. კაცობრიობისთვის ფიზკულტურა ბედნიერებაა", — ასეთი სიტყვებით მთავრდება წერილი (მშრომელთა წერილები ვ. ი. ლენინს. მოსკოვი. 1960 წ.).

ნათქვამია, ჯანმრთელ სხეულში ჯანსაღი სულიაო, მაგრამ ჯანმრთელი სხეულის ჩამოყალიბებისთვისაც ჯანსაღი სულია საჭირო.

სწორედ ასეთი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

**რ. ხურმანიძე,**
ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

სურათზე: ვ. ი. ლენინი გორკაში სეირნობის დროს (1922 წ.).

## —20 წმ

◆ **ლოს-ანჯელესი,** 6 აპრილი. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტმა ჯონ ვან რეინენმა აქ გამართულ შეჯიბრებაში ბადრო 68,61 მეტრზე ტყორცნა — მსოფლიო რეკორდის (68,40 მ) აღმნიშვნელ ნიშანს გადააცილა, მაგრამ შემდეგ წონასწორობა დაკარგა და სატყორცნი წრის განმსაზღვრელ რკალს დააბიჯა ფეხი. ამიტომ რეკორდი არ ჩაითვლება.

◆ **სტამბოლი,** 6 აპრილი. ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა გუნდმა აქ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში ანგარიშით 3:0 (15:0, 15:1, 15:3) დაამარცხა ადგილობრივი „ფენერბახჩე" და ნახევარფინალში გავიდა.

◆ **ვარშავა,** 6 აპრილი. პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტის თასი ქვეყნის ესპადრონისტთა აქ გამართულ ტრადიციულ ტურნირში ყველას აჯობა მასპინძელმა ე. პავლოვსკიმ — მან 4 გამარჯვება მოიპოვა ფინალში. II ადგილზეა მინსკელი ვ. ნიდიაკი, III — ლენინგრადელი ე. ვინოკუროვი. მათ 3-3 მოგება აქვთ, მაგრამ ვინოკუროვმა 3 სხვლეტით მეტი მიიღო.

**როცა გაზეთი დაიბეჭდა მერე იყო...**

# ჭიდაობას რა უნდა!

## მესამე საბედისწერო

**დონის როსტოვი,** 6 აპრილი. გუშინ აქ დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი — რუსი გოლიათის ი. პოდდუბნის მემორიალი, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენების გარდა 12 ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებიც მონაწილეობდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაისაკუთრეს: ვ. ზუბკოვმა (სსრ კავშირი), მსოფლიო ჩემპიონმა ფ. აიზადემ (ირანი), ნ. დავიდიანმა (სსრ კავშირი), კ. ლიპენმა (პოლონეთი), ა. ივანკოვმა, კ. ხალილოვმა, ა. ნაზარენკომ (ყველა — სსრ კავშირი), ჩ. კვეტინსკიმ (პოლონეთი), მსოფლიო ჩემპიონმა ნ. იაკოვენკომ და ნ. შმაკოვმა (ორივე — სსრ კავშირი).

ასპარეზობაში საქართველოდან სამი მოჭიდავე გამოდიოდა. პირველ საშუალო წონაში ფავორიტებად ითვლებოდნენ სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი მაჭავარიანი და ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ნაზარენკო. თბილისელმა ოსტატმა დამაჯერებლად გაიარა 3 წრე. სხვა მეტოქეებთან ერთად მან დაამარცხა ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, იუგოსლაველი ნენადიჩი. მეოთხე წრეში ფავორიტები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. მაჭავარიანს გამარჯვებისთვის ფრეც ჰყოფნიდა, ნაზარენკოს კი მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს. 8 წუთსა და 58 წამს ძალები თანაბარი იყო. მეტოქეებს 2-2 გაფრთხილება ჰქონდათ — ეს იყო და ეს. მაგრამ მსაჯის სასტვენამდე 2 წამით ადრე მაჭავარიანმა სრულიად შემთხვევით გამოსდო ფეხი მეტოქეს, როცა ის ილეთის ჩატარებას ცდილობდა და მესამე საბედისწერო გაფრთხილება მიიღო. ვინაიდან დებულების თანახმად, ერთ წონაში არ შეიძლება იყოს ორი პრიზიორი საბჭოთა კავშირიდან, მაჭავარიანი V ადგილზე დარჩა. და მაინც უცხოელმა და საბჭოთა სპეციალისტებმა ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მონაწილედ სწორედ ის დაასახელეს.

მეორე საშუალო წონაში საქართველოდან იუნიორთა საკავშირო პირველობაში გამარჯვებული, ქუთაისელი გოგლიჩიძე ჭიდაობდა. პირველივე წრეში იგი შეხვდა წლევანდელ ვერცხლის პრიზიორს მოზრდილთა შორის, ყარაგანდელ გაფაროვს. ქუთაისელმა დიდი ალმაცერობით ჩაატარა ორთაბრძოლის პირველი ნახევარი. იგი იგებდა კიდეც 3 ქულით, მაგრამ გამოუცდელობით რამდენიმე შეცდომა დაუშვა და დამარცხდა. შემდგომში მან ერთი შეხვედრა მოიგო, ერთიც წააგო და ბრძოლას გამოეთიშა. ახალგაზრდა ქუთაისელი ათლეტი სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა სიაში ჩაწერეს.

მძიმე წონის ათლეტთა ცენტრალური შეხვედრა იყო წლევანდელი ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორების — მინსკელი სუსიჩის და თბილისელი მორჩილაძის შერკინება. ბრინჯაოს მედალოსანმა დასაწყისშივე რამდენიმე ეფექტური ილეთი ჩაატარა, შემდეგ კი სუსიჩი ბეჭებით გააკრა ხალიჩას. მეორე ბრძოლა მორჩილაძემ ფრედ დაამთავრა, მესამეში კი დამარცხდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ნ. შმაკოვთან. მორჩილაძე ამჯერადაც გაბედულად იბრძოდა, მაგრამ ერთ-ერთი მისი ილეთი ექს-ჩემპიონმა დროულად „დახურა". მორჩილაძეც, ისევე როგორც პირველი ქვესაშუალო წონის ათლეტი ლეკვეიშვილი (რომელიც ავადმყოფობის გამო ხალიჩაზე ვერ გამოვიდა), საკავშირო ნაკრების კანდიდატთა შორისაა ჩარიცხული.

## მეგობართა შეხვედრები

**ბუდაპეშტი,** 5 აპრილი. ფაშისტური უღლისგან უნგრეთის განთავისუფლების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით, აქ გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომლებშიც საბჭოთა სპორტსმენებიც გამოდიოდნენ.

როგორც მტი-ს სააგენტო იუწყება, სსრ კავშირის წარმომადგენლებმა 8 პირველი ადგილი დაიკავეს მოჭიდავეთა ტურნირებში: „კლასიკოსთაგან" საუკეთესონი იყვნენ ლენინგრადელები აბდულაევი (პირველი საშუალო) და ა. როშჩინი (მძიმე), თავისუფალი სტილის მოჭიდავეთაგან — მოსკოველები ნ. ფურული (მეორე ქვესაშუალო), ა. მოროზოვი (მეორე საშუალო) და ე. ნადეჟდინი (მძიმე).

წარმატებას მიაღწიეს სსრ კავშირის მსროლელებმაც. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში უძლიერესი იყო მოსკოველი ი. კუდრიაშოვი — 1151 ქულა 1200-დან. ახალგაზრდებს შორის ამავე სახეობაში ბადალი არ ჰყავდა კუდრიაშოვის თანაქალაქელ ვ. პოლიაკოვს.

ქალთა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში III ადგილი დაისაკუთრა ლატვიის ქალაქ ელგავის მკვიდრმა ბ. ზარინიამ — 541 ქულა. ამ სახეობაში უძლიერესი იყო უნგრელი კ. ხეპი — 549 ქულა. (საკდესი).

## მისაბაძი თაოსნობა

გურჯაანის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი ბევრ საინტერესო ღონისძიებას ატარებს სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციის მიზნით. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა რაიონული მასშტაბის შეჯიბრებების სოფლებში ჩატარება, რათა იქაურმა ახალგაზრდობამაც თავისი თვალით ნახოს გამოცდილი და მზარდი სპორტსმენების ოსტატობა. ამ სიახლემ უკვე გამოიღო ნაყოფი: სოფლებში მკვეთრად იმატა სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვმა.

ამ ცოტა ხნის წინ ჭაბუკთა რაიონული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში სოფელ შაშიანში მოეწყო. მოასპარეზეებს საშუალო სკოლის სპორტდარბაზი გამოუყვეს. ინტერესი დიდი იყო — შაშიანს მეზობელი სოფლების — ვაზისუბნის, შრომის, ჩუმლაყის, ვეჯინისა და ბაკურციხის მცხოვრებლებიც ეწვივნენ. ჭიდაობის გულშემატკივრებმა ორი დღის მანძილზე ნამდვილი სიამოვნება მიიღეს.

გამოვლინდნენ რაიონის ჩემპიონებიც. ესენი არიან ქართლელიშვილი (ჩუმლაყი), დავითინიძე (შაშიანი), შავლიაშვილი (ბაკურციხე), შოშიაშვილი (შრომა), კალაიჯიშვილი (ბაკურციხე), გოჩიაშვილი, სულაძე (ორივე — შრომა), ხოტენაშვილი (შაშიანი), არევაძე (ჩუმლაყი).

**ზ. წიკლაური.**

გურჯაანი.

# პირველი მედლები

**კისლოვოდსკი,** 6 აპრილი. მძლეოსნობაში სსრ კავშირის ჩემპიონის წლევანდელი პირველი ოქროს მედლებისთვის მებრძოლებმა აქ მოიყარეს თავი და კროსში სცადეს ძალა.

ასპარეზობა მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. სტარტზე პირველნი 1500 მეტრზე მორბენალი გოგონები გამოიძახეს. იმარჯვა ლ. მუხინამ (უკრაინა) — 5.18,6.

ჭაბუკები 4 და 8 კილომეტრზე დარბოდნენ. 4 კილომეტრზე რბენა მოიგო ა. ბეინაროვიჩმა (ლატვია) — 12.05,2, 8 კილომეტრზე შეჯიბრებაში ყველას აჯობა ვ. კუზნეცოვმა (რსფსრ) — 25.57,8.

ქალებმა პირველი მედლები 2000 მეტრზე რბენაში გაითამაშეს. ოქროს ჯილდო ხვდა ლ. ბრაგინას (რსფსრ) — 6.53,4, ვერცხლი მოიპოვა თ. პანგელოვამ (უკრაინა), რომელიც ჩემპიონს 0,4 წამით ჩამორჩა. ბრინჯაოს დაეუფლა გ. სოკოლოვა (რსფსრ) — 6.58,2.

3000 მეტრზე რბენა მეტად სწრაფად დაიწყო და მაღალ ტემპშივე დამთავრდა. გამარჯვება ხვდა ნაკლებად ცნობილ სპორტსმენს, ჩელიაბინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელს ი. მელნიკოვას — 10.46,2. მისი თანაგუნდელები ი. ტაბორსკაია (10.54,8) და ლ. ქმუროვა (10.57,4) მომდევნო ადგილებზე არიან.

ვაჟებმაც მედლების ორი კომპლექტი გაითამაშეს. 8000 მეტრზე რბენის სტარტზე ბევრი ცნობილი სტაიერი გამოვიდა. მათგან ფინიშთან ყველაზე ადრე მიიჭრა ლენინგრადელი რ. შარაფუტდინოვი (24.30,6), რომელიც ი. ალექსაშინს (მოსკოვი) ბოლო წრეზე გაექცა. ალექსაშინი ვერცხლის მედალს დასჯერდა — 24.32,2. III ადგილზეა ი. შოპშა (რსფსრ) — 24.34,0.

12 კილომეტრზე რბენაში მედლები ასე განაწილდა: ოქრო ხვდა ნ. სვირიდოვს (36.40,0), ვერცხლი — ვ. ალანოვს (36.40,8), ბრინჯაო — ა. ბეხდელოვს (ყველა — რსფსრ) — 37.11,4.

გუნდურ ჩათვლაში იმარჯვა რსფსრ-ს ნაკრებმა. II ადგილზე არიან უკრაინის, III — ლენინგრადის მძლეოსნები.

## ფეხბურთი 1970

# 88-ე წუთზე...



თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 6 აპრილი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:0 (0.0).

„ლოკომოტივი“: ბერიძე, გოგიჭანაშვილი, პანოვი, ფრიდმანი, მირიანაშვილი, ძაგანია, ჯორბენაძე, ჩოლაძე, მაზიაშვილი, ყიფიანი, მესხი.

„დაუგავა“: რაზინსკი, ბეშკარიოვი, ზალიტისი, როშკოვი, რაცინი, კუზნეცოვი, ლუკინი,

### სსრ კავშირის თასზე

იაკუშონოკი, ლიეპინში, ხკადატსი, დამბრანი.

მსაჯი პ. გავრილიადი (სოჭი).

მატჩის დასაწყისში რიგელი ფეხბურთელები უფრო შეთანხმებულად და გეგმიანად მოქმედებდნენ. მათი თავდასხმა ხშირად იხმარიებდა ნახევარმცველებს და სახიფათო მომენტებს ქმნიდა. ამ პერიოდში საკმაო დატვირთვა დააწვა „ლოკომოტივის“ დაცვას, რომელმაც შეძლო მეტოქის იერიშების უვნებელყოფა.

თბილისელები თავიანთ შესაძლებლობაზე აშკარად დაბლა თამაშობდნენ. ეს განსაკუთრებით ეხებათ თავდამსხმელებს, რომლებიც არ იჩენდნენ აქტიურობას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩრდილში იყვნენ.

პირველი, ვინც რკინიგზელთა შეტევებს ტონი მისცა, იყო მესხი. მისი რამდენიმე ზუსტი გადაცემის შემდეგ რიგელთა კართან შეიქმნა მწვავე მომენტები და რაზინსკის თავისი ოსტატობის ჩვენება მოუხდა.

ტაიმი საკმაოდ უფერულად, დაბალ ტემპში წარიმართა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ისევ შეძლეს ინიციატივის ხელში აღება. 55-ე წუთზე საუკეთესოდ გაითამაშეს ბურთი კუზნეცოვმა, დამბრანმა და ლიეპინშმა. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა ნახტომით მოიგერია ბერიძემ.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და დამატებითი დრო თითქოს გარდუვალი იყო, როცა ზალიტისმა თავისი კარის წინ ხელით ითამაშა, თუმცა საამისო იმ მომენტში იქ არაფერი მომხდარა. მსაჯმა დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა მაზიაშვილმა — 1:0.

ეს მოხდა 88-ე წუთზე...

რ. ქორიძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ზ. მაზიაშვილს გააქვს პენალტი „დაუგავას“ კარში. ფოტო ა. კოტორაშვილისა.

### თასის მფლობელი — თამაშგარეთ

5 აპრილს სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ჩაებნენ „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდები.

სსრ კავშირის თასის შარშანდელი მფლობელი — ლვოვის „კარპატი“ პირველივე მატჩში გამოეთიშა გათამაშებას. ლვოველებმა ვილნიუსში ითამაშეს ადგილობრივ „ჟალგირისთან“ და დამარცხდნენ — 0:1.

# მტკიცე საფუძველი

ერთი პოპულარული ზღაპრის გმირი დიდ განსაცდელში ჩავარდა. საბედნიეროდ, მას მხარში ამოუდგნენ ერთგული მეგობრები. გოლიათი, რომელიც უზარმაზარ ხეებს ისე გლეჯდა, თითქოს ჭვავის ღეროებიაო, მონადირე, რომელიც მუხის ტოტზე შემომჯდარ ბუს მარცხენა თვალში ტყვიას ახვედრებდა, მორბენალი, რომელსაც ჩიტიც ვერ დაეწეოდა და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ჩვენს გმირს განსაცდელიდან თავის დასაღწევად ხუთი სასწაულმოქმედი კაცი დაეხმარა.

ეს პატარა შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ თანამედროვე ხუთჭიდელებზე გესაუბროთ. ისინი, რა თქმა უნდა, ზღაპრის გმირებად ვერ გამოდგებიან, მაგრამ მათზე მეტი სპორტული „პროფესია“ აქვთ. მართლაც, თანამედროვე ხუთჭიდში წარმატების მოპოვება შეუძლიათ მხოლოდ, როგორც იტყვიან, სულითა და ხორცით ძლიერ ადამიანებს, სპორტსმენებს, რომლებსაც უნარი შესწევთ ერთნაირი წარმატებით დაეუფლონ სპორტის პრინციპულად განსხვავებულ სახეობებს: ფარიკაობას, სროლას, ცურვას, ცხენოსნობასა და მძლეოსნურ კროსს.

ხუთჭიდელს უნდა ჰქონდეს მუშკეტერის ოსტატობა, მონადირის მახვილი თვალი, წყალში თევზივით უნდა გრძნობდეს თავს, ლაღად იჯდეს ცხენზე და ქარივით დარბოდეს. არა, ნამდვილად არ არის ადვილი ეს სახეობა, მაგრამ იგი, როგორც ვთქვით, რაინდული სულის მქონე სპორტსმენთა ხვედრი გახლავთ. თუმცა, აქა-იქ კიდევ გვხვდებიან სკეპტიკოსები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ხუთჭიდელები თითქოს სრულფასოვნად ვერ ფლობენ სპორტის ვერც ერთ სახეობას. ეს მოსაზრება იმდენად უსაფუძვლოა, რომ შეიძლება პასუხის გაცემაც არ ღირდეს.

თანამედროვე ხუთჭიდი სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს იკრებს. შესამჩნევად გამოცოცხლდა მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში ამ სახეობის განვითარებისთვის. ეტყობა, მწვრთნელთა და სპორტსმენთა მონდომებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. შარშანდელ სეზონში თავი გამოიჩინეს საქართველოს წარმომადგენლებმა. კერძოდ, იუნიორებმა საკავშირო ჩემპიონატის გუნდურ ასპარეზობაში პირველობა არავის დაუთმეს, ხოლო პირად ტურნირში პ. რუბეცანსკიმ („დინამო“) ჩემპიონობაც მოიპოვა. ერთი სიტყვით, მომავალ წარმატებებზე ფიქრს მტკიცე საფუძველი აქვს.

რას უქადის წლევანდელი სპორტული სეზონი ჩვენს ხუთჭიდელებს?

ამაზე პასუხი უნდა გაგვცეს საქართველოს თასის გათამაშებამ თანამედროვე ხუთჭიდში, რომელმაც 4 აპრილს აიღო სტარტი თბილისში.

შეჯიბრება მოფარიკავეებმა გახსნეს. ხუთჭიდელთა ფარიკაობა სპეციფიკურია. სპორტსმენი ასპარეზობს მხოლოდ დაშნით, ამასთან, გამარჯვებისთვის მხოლოდ ერთი ჩხვლეტაა საკმარისი. მეტად „ძვირია“ ამ ერთადერთი ჩხვლეტის ფასი. სპორტსმენი მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყოს ელვისებური გამოცდისთვის. საკმარისია წამიერი უყურადღებობა და ხუთჭიდელი აგებს ბრძოლას, რითაც იგი ბევრ ქულას კარგავს.

„მოფარიკავეთაგან“ [illegible] ამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ნ. ჯავახიშვილმა („სპარტაკი“). [illegible] დაუტახებლად ფარიკაობს, აქვს მანძილის კარგად განვითარებული გრძნობა. ერთადერთი, რაც შეიძლება ახალგაზრდა ხუთჭიდელს ვუსაყვედუროთ, ერთგვარი ინერტულობა გახლავთ, რაც თავისებურ დაღს ასვამს საბოლოო შედეგს.

ამ სახეობაში გაიმარჯვეს გამოცდილმა სპორტსმენებმა ა. მაროტიმ და ი. ლოქტიონოვმა (ორივე — „დინამო“), რომლებმაც 25 ბრძოლიდან 20 მოიგეს და ასპარეზობას სათავეში ჩაუდგნენ.

შეჯიბრების მეორე დღე მსროლელებს დაეთმოთ. აქ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ა. შეროზიამ („ბურევესტნიკი“), რომელმაც დამაჯერებლად იასპარეზა და I ადგილი დაიკავა საკმაოდ მაღალი შედეგით — 196 ქულით. მას მხოლოდ ქულით ჩამორჩა ახალგაზრდა ხუთჭიდელი გ. გოეთე („დინამო“).

რა შეიძლება ითქვას მსროლელთა შეჯიბრების შესახებ?

მონაწილეთა უმრავლესობამ კარგი მომზადება გამოავლინა, თუმცა შეჯიბრების დაძაბულობამ უარყოფითად იმოქმედა ზოგიერთი მონაწილის შედეგზე. ნერვებმა უმტყუნა ლოქტიონოვს, რომელმაც ვერც ერთი ჩასათვლელი ქულა ვერ მოიპოვა და ლიდერთა ჯგუფს გამოეთიშა.

ორი სახეობის შემდეგ მოწინავენი სატურნირო ცხრილში შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდნენ. 1. მაროტი — 1978 ქულა, 2. შეროზია — 1868, 3. გოეთე — 1802.

შეჯიბრება გრძელდება.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

# ერთი ქულით...

ბელგრადი, 5 აპრილი. გუშინ „საუკუნის მატჩის“ დასკვნითი, IV ტურის წინ ცნობილი გახდა, რომ გუნდებში ცვლილებებია. სსრ კავშირის გუნდში სპასკის, რომელიც შეუძლოდ გრძნობდა თავს, შეცვლის ლ. შტეინი, ხოლო „მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა“ ნაკრებში რეშევსკის მაგიერ ფ. ოლაფსონი (ისლანდია) ითამაშებს. გამოცხადდა ისიც, რომ პეტროსიან — ფიშერის შეხვედრა ორი საათის დაგვიანებით (მზის ჩასვლის შემდეგ) დაიწყება ამერიკელი დიდოსტატის რელიგიური მოტივების გამო.

ყველაზე ადრე, 24-ე სვლაზე ტალი და ნაიდორფი ყაიმზე შეთანხმდნენ. მალე მათ პორტიშ—კორჩნოიმ და პოლუგაევსკი — ჰორტმა მიბაძეს.

შესანიშნავად იბრძოდა კერესი ივკოვის წინააღმდეგ. ენერგიული თამაშით მიტელშპილში კერესმა ხელთ იგდო ინიციატივა. ლაზიერები რომ გაიცვალა, მისი უპირატესობა უფრო აშკარა შეიქნა. პაიკის დროებითი შეწირვით საბჭოთა დიდოსტატის ფიგურები მეტოქის პოზიციაში შეიჭრნენ. 37-ე სვლაზე ივკოვი დანებდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. დღეს, თამაშის განახლებისას, გელერმა უვნებელყო გლიგორიჩის მუქარა და ყაიმს მიაღწია. ტაიმანოვს ულმანთან ორი პაიკი აკლდა, ამიტომ მისი მარცხი მოულოდნელი არ ყოფილა.

ლარსენს შტეინთან უკეთესი პოზიცია ჰქონდა. მეთოდური თამაშით დანიელმა დიდოსტატმა შეძლო უპირატესობის რეალიზება. ბოტვინიკსაც უკეთესი პოზიცია ჰქონდა (მატულოვიჩთან), მაგრამ მან ვერ დაძლია იუგოსლაველის წინააღმდეგობა და ყაიმს შეურიგდა.

ფიშერი პეტროსიანთან თავგამოდებით იცავდა უარეს ენდშპილს და საწადელს მიაღწია. ყაიმი.

„საუკუნის მატჩის“ ბედი სმისლოვ—ოლაფსონის პარტიაში გადაწყდა. ეს პარტია საბჭოთა დიდოსტატის უპირატესობით გადაიდო გუშინ. სმისლოვმა ვირტუოზულად ითამაშა და თავის გუნდს გამარჯვების ქულა მოუტანა.

IV ტურის ანგარიშია 5:5.

ამრიგად, „საუკუნის მატჩი“ დამთავრდა სსრ კავშირის გუნდის გამარჯვებით — 20,5:19,5.

### „საუკუნის მატჩის“ საბოლოო ცხრილი

| სსრ კავშირი | I | II | III | IV | IV | III | II | I | მსოფლიოს ნაკრები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპასკი | 1/2 | 1 | 0 | 0* | 1 | 1 | 0 | 1/2 | ლარსენი |
| პეტროსიანი | 0 | 0 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | 1 | ფიშერი |
| კორჩნოი | 1/2 | 1/2 | 0 | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 | 1/2 | პორტიში |
| პოლუგაევსკი | 0 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | ჰორტი |
| გელერი | 1 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 0 | გლიგორიჩი |
| სმისლოვი | 1/2 | 1 | 0 | 1 | 0** | 1 | 0 | 1/2 | რეშევსკი |
| ტაიმანოვი | 1 | 1 | 1/2 | 0 | 1 | 1/2 | 0 | 0 | ულმანი |
| ბოტვინიკი | 1 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 0 | მატულოვიჩი |
| ტალი | 1/2 | 0 | 1 | 1/2 | 1/2 | 0 | 1 | 1/2 | ნაიდორფი |
| კერესი | 1/2 | 1 | 1/2 | 1 | 0 | 1/2 | 0 | 1/2 | ივკოვი |
| 20 1/2 — 5 1/2 | 6 | 4 | 5 | | 5 | 6 | 4 | 4 1/2 — 19 1/2 | |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: * — თამაშობდა ლ. შტეინი, ** — ფ. ოლაფსონი (ისლანდია).

# დღეს

თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების IX ჩემპიონატი: იასპარეზებს „ა“ კლასის I ჯგუფის ყველა კოლექტივი: ეს 8 გუნდი ორ ოთხეულად დაიყო. პირველ ოთხეულში ითამაშებენ მოსკოვის „კუნცევო“, რიგის „დაუგავა“, თბილისისა და კრასნოდარის ბურევესტნიკელები, მეორეში — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, ცსკა, ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ და „ბურევესტნიკი“. გუნდები 3-3 შეხვედრას გამართავენ და დამთავრდება კიდეც პირველი წრის I ტური.

ამ წრის II ტურის თამაშები გაიმართება ზაპოროჟიეში (8-12 მაისი), ხოლო მეორე წრის ყველა მატჩი ჩატარდება მოსკოვში (19-27 მაისი), სადაც გუნდები 7-7 შეხვედრას გამართავენ.

მაგრამ ჩემპიონატი ამით არ დამთავრდება. განზრახულია აგვისტო-ოქტომბერში ჩატარდეს მესამე და მეოთხე წრეების მატჩები და სწორედ ამის შემდეგ გამოვლინდება სსრ კავშირის ახალი ჩემპიონი.

თბილისის ტურის თამაშების კალენდარი ასეთია:

### 7 აპრილი

14.00. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — ცსკა.

15.20. „ბურევესტნიკი“ (ზაპოროჟიე) — „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე).

16.40. „კუნცევო“ (მოსკოვი) — „დაუგავა“ (რიგა).

21.00. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი).

### 8 აპრილი

17.00. ცსკა — „ალუმინსტროი“.

18.20. „დაუგავა“ — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი).

19.40. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი“ (ზაპოროჟიე).

21.00. „კუნცევო“ — „ბურევესტნიკი“ (თბილისი).

### 9 აპრილი

16.00. „ბურევესტნიკი“ (ზაპოროჟიე) — ცსკა.

17.20. „ალუმინსტროი“ — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი.

18.40. „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) — „კუნცევო“.

20.00. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „დაუგავა“.

**ხელბურთი**




# მოჭადრაკე ქალთა ფორუმი

თბილისში, რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში სტარტი აიღო საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XXVI ჩემპიონატმა, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის ქალთა პირველობის, საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატის პრიზიორები და სხვა უძლიერესი მოთამაშეები.

ჩემპიონატის საზეიმო გახსნის დროს გამართული კენჭისყრით მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. თ. კაჭარავა, 2. კ. პილცერი, 3. ც. კახაბრიშვილი, 4. ოსტატი ც. კომაიძე, 5. თ. ხუგაშვილი, 6. ლ. კორომზინაძე, 7. მ. წერეთელი, 8. ნ. ბალაშვილი, 9. მ. დათაშვილი, 10. ნ. ივანოვა (ყველა — თბილისი), 11. თ. ჩხიკვაძე (სოხუმი), 12. ც. სიორდია (ცხაკაია), 13. ნ. ხუბულური, 14. ნ. ჩიქობავა, 15. მ. სანაძე (ყველა — თბილისი).

ჭადრაკის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, სსრ კავშირის ქალთა XXX ჩემპიონატის ფინალი 20 ნოემბრიდან 23 დეკემბრამდე ჩატარდება კიშინიოვში. სათამაშოდ პერსონალურად მიწვეული არიან მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია, ა. კუშნირი, ტ. ზატულოვსკაია და ვ. რუბცოვა. დანარჩენ მონაწილეებს შესარჩევი ტურნირები გამოავლენს: 3-3 პრიზიორი იქნება რსფსრ-სა და მოსკოვის 2-2 — უკრაინისა და საქართველოს პირველობებიდან, 1 — ლენინგრადის ჩემპიონატიდან და 2-2 — მინსკისა და ტარტუს ნახევარფინალებიდან.

— პირველი ორი ადგილისთვის უაღრესად მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი, — თქვა ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ქ. გოგიაშვილმა. — მონაწილეთა უმრავლესობა ახალგაზრდაა, ზოგიერთი — მოსწავლეცაა. ეს, სხვათა შორის, ჩვენში კარგ ტრადიციად იქცა. მას 1956 წელს მიეცა დასაბამი, როცა სრულიად ნორჩმა ნონა გაფრინდაშვილმა ყველას გააკვირვა. რა თქმა უნდა, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა წარმატებების დიდი აღიარებაა, რომ ჩვენი რესპუბლიკური ჩემპიონატი საკავშირო პირველობის ნახევარფინალის უფლებით სარგებლობს.

თ. ნინოშვილი.

### თასი მეინარჩუნა

ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტადიონებზე დამთავრდა თბილისის საგაზაფხულო თასის გათამაშება რეგბიში. ტურნირი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „განთიადის“, „ლოკომოტივის“, აეროფლოტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდები.

თასის ბედი უნდა გადაეწყვიტა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და აეროფლოტის რეგბისტთა შეხვედრას. ისინი დაუმარცხებელნი დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. გაიმარჯვეს სტუდენტებმა — 11:3. ამრიგად, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი მეორედ დაეუფლა „გაზაფხულის თასს“.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები არიან აეროფლოტელი გ. შენგელია (23 ქულა) და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის ლიდერი ი. კიზირია (21).

დ. თაქთაქიშვილი.



# აჩადარას 86 მოტოკროსმენი შეება

მოტოკროსში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა თბილისიდან სოხუმში გადაინაცვლეს და გასულ კვირას აჩადარის ფერდობებზე მეორე ეტაპში იასპარეზეს. საბრძოლველად 86 სპორტსმენი შეგროვდა, ამიტომაც მსაჯთა კოლეგიამ ნახევარფინალების გამართვა გადაწყვიტა. ნახევარფინალებში თითოეულ კლასში უნდა შეერჩია 24 საუკეთესო, რომლებიც ფინალში შეეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ტურნირის სანახავად 4 ათასამდე მაყურებელმა მოიყარა თავი. სტარტამდე წამოწვიმა, ამან კი მტვერი მოსპო და რბოლაც უფრო საინტერესო გახდა.

შეჯიბრების მთავარი მსაჯის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ა. ჯაფარიძის (სოხუმი) ნიშანზე საბრძოლველად „250-ანებს" უხმეს. თითოეული ცდით სპორტსმენებს 30 კილომეტრამდე უნდა დაეფარათ, გამარჯვებული კი ორი ცდის ჯამში უკეთესი მაჩვენებლით ვლინდებოდა. შეჯიბრება მოიგო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. კავინოვმა (ლვოვის ასკ). II ადგილზეა ლენინგრადელი სპორტის ოსტატი გ. მოისეევი, III — ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ლ. შინკარენკო (კიევის ასკ).

„500-ანთა" შეჯიბრებაში საპრიზო ადგილზე კვლავ ვიხილეთ ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი, რიგელი ოსტატი გ. დრაუგსი, რომელმაც II ადგილი დაისაკუთრა. მას მ. რასტვოროცევმა (ლენინგრადის ასკ) აჯობა. III ადგილზეა დრაუგსის თანაქალაქელი და თანაგუნდელი ვ. დონისი.

მოტოკროსმენები მაისამდე დაისვენებენ, შემდეგ კი ივანო-ფრანკოვსკში მესამე ეტაპს გამართავენ.

**ვ. სემიონოვი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**
**(ჩვენი კორ.).**

სოხუმი.



**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** მარცხნივ — **ვ. კავინოვი ტრასაზე; მარჯვნივ — შეჯიბრების მომენტი.**

ფოტო ავტორისა.

# მონადირეთა წარმატება

თბილისის იუნიორ მესტენდეთა პირად-გუნდურ პირველობაში სრული გუნდები მხოლოდ „ლოკომოტივმა" და არმიელ მონადირეთა საზოგადოებამ გამოიყვანეს.

მისასალმებელია არმიელ მონადირეთა საზოგადოების ნაყოფიერი საქმიანობა. სასტენდო სროლაში აქ რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას ამეცადინებენ და შეჯიბრებებშიც ახალ-ახალ გვარებს ვხვდებით. ერთი მათგანია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ზ. მაჩხანელის ქალიშვილი, თბილისის მე-60 სკოლის IX კლასის მოსწავლე რ. მაჩხანელი. 15 წლის რუსუდანმა ამ ტურნირში პირველად შეასრულა III თანრიგის ნორმატივი — 25-დან 13 სამიზნე დაამსხვრია, საბოლოოდ კი თავის გუნდს 20 ქულა შესძინა და ამით „ლოკომოტივთან" გამარჯვებაში საკმაო წვლილი შეიტანა.

პირად ჩათვლაში ადგილიდან სროლა სპორტის ოსტატმა ა. ბუკიამ მოიგო — 86 ქულა 100-დან. 83-83 ქულა ჰქონდათ არმიელ ი. კონდრატიევსა და ი. იმნაიშვილს, მაგრამ დამატებით სერიაში კონდრატიევმა იმარჯვა და II ადგილი დაისაკუთრა.

მრგვალ სტენდზე სროლაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა თ. მატიაიანმა — 92 ქულა. თ. იმნაიშვილი მას 2 ქულით ჩამორჩა. III ადგილზეა ვ. მანდრახელაშვილი (არმიელ მონადირეთა საზოგადოება).

მოხკავშირმა გუნდის დაკომპლექტებისთვის ყურიც არ გაიბერტყა, მაგრამ ამ საზოგადოების სპორტსმენები ცეცხლის ხაზზე მაინც გამოვიდნენ, ვინაიდან მათ ვაჟებს თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლამ მისცა.

**ჯ. მოლონელიძე,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

# ახალი ამბები

● **როვანიემი** (ფინეთი), 5 აპრილი. ევროპის ჩემპიონმა, ლენინგრადელმა მოციგურავე ნ. სტატკევიჩმა სპრინტში წარმატებით ასპარეზობის შემდეგ ახალი გამარჯვება მოიპოვა თეთრ უნივერსიადაში — ყველას აჯობა 1500 მეტრზე სწრაფრბენაში — 2.26,5. III ადგილი დაიკავა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ლ. ტიტოვამ — 2.30,0. 5000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა კიროველმა ა. ჩეკულაევმა — 7.50,0. მომდევნო საპრიზო ადგილებიც საბჭოთა მოციგურავეებმა დაიკავეს: მეორე იყო ალმაათელი ვ. ტროიცკი (7.54,1), მესამე — მოსკოველი ვ. ლავრუშკინი (8.00,7).

● **დუშანბე**, 5 აპრილი. 30-კილომეტრიანი ტრადიციული გარბენი ორჯონიკიძიდან დუშანბეში მოიგო კემეროველმა მეშახტემ ვ. ტრეტიაკოვმა — 1:43.33,8. ფინიშთან მეორე იყო ალმაათელი დ. მუხამეძიანოვი, მესამე — ყაზანელი რ. ახმედგალეევი. გუნდურ ჩათვლაში, ისევე როგორც შარშან, ყველას აჯობეს კემეროველებმა. რიგით ამ მე-14 მარათონულ გარბენში რსფსრ-ს, ყაზახეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის მძლეოსნები მონაწილეობდნენ.

● **მოსკოვი**, 5 აპრილი. დღეს აქ გაიმართა სამი სოციალისტური ქვეყნის დედაქალაქების მოფარიკავეთა პირველი შეხვედრა: მოსკოველმა მუშკეტერებმა ბუდაპეშტისა და ვარშავის წარმომადგენლებს უმასპინძლეს. პირად შეჯიბრებებში გაიმარჯვეს: 17 წლის მოსკოველმა მოსწავლემ ტ. ზოლოტოვამ და 27 წლის პოლონელმა ტ. ზდიარსკიმ (რაპირა), 25 წლის საბჭოთა ოფიცერმა ა. სოკოლოვმა (დაშნა) და მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ცნობილი უნგრელი სპორტსმენის პ. კოვაჩის ვაჟმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, 32 წლის ა. კოვაჩმა (ხმალი). გუნდურ ჩათვლაში საუკეთესონი იყვნენ ბუდაპეშტელები. II ადგილზე არიან მოსკოველები, III — ვარშაველები.

● **ვარშავა**, 5 აპრილი. პოლონეთში პოპულარულ საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც „ვოლოდიევსკის ხმალი" ჰქვია, ზედიზედ მეხუთედ გაიმარჯვეს საბჭოთა მოფარიკავეებმა მათ ეს საპატიო პრიზი პოლონეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუმინეთის ხმლით მოფარიკავეთა ძლიერ ნაკრებ გუნდებთან მწვავე ბრძოლაში მოიხვეჭეს. საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდნენ ვ. სიდიაკი (მინსკი), ე. ვინოკუროვი (ლენინგრადი), ვ. ნაზლიმოვი, უ. მავლიხანოვი (ორივე — რსფსრ), ვ. კროვოპუსკოვი და პ. რენსკი (ორივე — მოსკოვი). სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრისას (საერთო ანგარიშია 9:7) განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონის სიდიაკისა და ოლიმპიური ჩემპიონის ე. პაველოვსკის დუელმა. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვა სიდიაკმა.

● **კანდალაკშა**, 5 აპრილი. მურმანსკის ოლქის ამ იმიერპოლარულ ქალაქში უძლიერესმა საბჭოთა მოთხილამურეებმა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი გაითამაშეს 70 კილომეტრზე რბოლაში. მსოფლიო ჩემპიონმა ვ. ვედენინმა (მოსკოვი) წლევანდელი სეზონი მართლაც ოქროს მოსავლით დაამთავრა — იგი ამჯერადაც საუკეთესო იყო — 4:02.16. II-III ადგილები გაიყვეს ი. ჩარკოვსკიმ და ნ. ტერებოვმა, რომლებმაც ერთნაირი დრო (4:05.49) აჩვენეს.

● **მოსკოვი**, 5 აპრილი. ცსკა-ს სპორტდარბაზში დღეს გაიმართა სამი სოციალისტური ქვეყნის დედაქალაქების — მოსკოვის, ბუდაპეშტისა და ვარშავის ძიუდოისტთა საინტერესო ტურნირი. გუნდურ ჩათვლაში წარმატება მასპინძლებმა იზეიმეს. საბჭოთა სპორტსმენთაგან პირად ჩათვლაში იმარჯვეს: ა. რასადკინმა (ქვესაშუალო), ა. ციუპაჩენკომ (საშუალო), ე. სოლოდუხინმა (ქვემძიმე) და ვ. ტრეტიაკოვმა (მძიმე). მსუბუქ წონაში უძლიერესი იყო 25 წლის უნგრელი ი. პულაი. ფინალურ შეხვედრაში მან დაამარცხა ვ. ბუტირსკი, რომელმაც წინასწარ ტურნირში შედარებით იოლად მოუგო ბუდაპეშტელს.

● **მელბურნი**, 5 აპრილი. აქ ჩატარდა ავსტრალიის მძლეოსან ქალთა ჩემპიონატი, რომელიც რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. 200 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა რ. ბოილმა წლეულს მსოფლიოში საუკეთესო დრო (22,9) აჩვენა. 400 მეტრზე რბენა მოიგო ს. ბრაუნმა — 52,4, ხოლო 100 და 200 მეტრზე თარჯრბენი — მ. კეირდმა (13,3 და 26,3). შუბის ტყორცნაში იმარჯვა იუგოსლაველმა ნ. ურბანჩიჩმა, რომელიც აქ სწავლობს. მისი შედეგი (57,06) იუგოსლავიის ახალი რეკორდია.

● **სოჭი**, 5 აპრილი. დღეს აქ სტარტი აიღო ტრადიციულმა მრავალდღიანმაველორბოლამ. პირველი ეტაპი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. თავდაპირველად ველოსიპედისტებმა ძალა მოსინჯეს დაყოფილი სტარტით 40 კილომეტრზე რბოლაში. აქ ყველას აჯობა 32 წლის ვეტერანმა გ. საიდხუჟინმა — 1:08.38.36. შემდეგ ველოსიპედისტები ასპარეზობდნენ 76-კილომეტრიან წრიულ ტრასაზე ჯგუფური სტარტით. აქ კი თავი გამოიჩინა პოლონელმა ვ. ეზერსკიმ, რომელმაც ყველაზე მეტი ქულა დააგროვა.

# კლასი დაბალია

ბათუმის ნავთობგადამუშავებელი ქარხნის სპორტულ დარბაზში ოთხ დღეს მიმდინარეობდა აჭარის საუწყებათაშორისო პირველობა ფრენბურთში.

ქალთა შორის გამარჯვებისთვის ერთმანეთს ეჯიბრებოდა ოთხი კოლექტივის: „განთიადის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკისა" და სპორტული სკოლის გუნდები.

აჭარის ჩემპიონობა მოიპოვეს ბავშვთა სპორტული სკოლის გოგონებმა, რომლებმაც სამივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით (2:0) მოიგეს. II ადგილზე არიან პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, III — განთიადელები.

ვაჟთა შეჯიბრების ფინალში გავიდნენ „განთიადისა" და სპორტული სკოლის გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს „განთიადის" წარმომადგენლებმა. III ადგილი წილად ხვდათ ბურევესტნიკელებს.

ჩემპიონატმა ცხადყო, რომ გუნდების თამაშის კლასი ძალიან დაბალია. ამასთან, ასპარეზობას რატომღაც თავი აარიდეს „კოლმეურნემ" და „ვოდნიკმა".

**ო. მურვანიძე.**

ბათუმი.

# მათთვის, ვინც შინ დარჩა

თბილისის „შრომითი რეზერვების" აუზში დამთავრდა ადგილობრივ, ბათუმისა და ბაქოს მოცურავეთა პირადი სამატჩო შეხვედრა.



ასპარეზობა იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, სანუგეშო ტურნირი მათთვის, ვინც გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე გამართული საკავშირო შეჯიბრების საგზური ვერ მოიპოვა.

ეს ტურნირი 25-მეტრიან აუზებში ჩატარებული შეჯიბრებების ციკლის უკანასკნელი აკორდი იყო. მასპინძლების, განსაკუთრებით, უმცროსი ასაკის მოცურავეთა მიმართ საყვედური არ გვეთქმის: რამდენიმე მათგანმა პირადი რეკორდი გააუმჯობესა. თბილისელებმა პროგრამის 24 ნომრიდან თხუთმეტში დაისაკუთრეს პირველობა, ბათუმელებმა სამი სახეობა მოიგეს, ბაქოელებმა — ექვსი.

სტარტზე პირველად 100 მეტრზე ბრასის სტილით მოცურავე გოგონები გამოიძახეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინიშთან ყველაზე ადრე გ. სედიაკოვა მივიდა — 1.23,1. მეორე იყო ლ. სულივანოვა — 1.24,2. მესამე — 12 წლის მ. კირდიანოვა (ყველა — თბილისი) — 1.25,5.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ვაჟთა შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, თბილისის 37-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ა. იორდანიშვილმა. იგი სტარტიდანვე დაწინაურდა და დიდი უპირატესობითაც გაიმარჯვა. ამასთან, იორდანიშვილმა პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი — 4.38,8.

საინტერესო იყო 100 მეტრზე ბრასით მოცურავე ვაჟთა ტურნირი. ფინიშთან პირველი მივიდა რ. კაზაროვი (თბილისი) — 1.13,9. მისმა თანაგუნდელმა დ. სირაძემ და ბაქოელმა ლ. შოსტაკმა ერთად დაამთავრეს დისტანცია (1.14,9), მაგრამ II ადგილი სირაძეს მიაკუთვნეს, რადგან იგი აუზის კედელს ოდნავ ადრე შეეხო. თბილისის 116-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეს, 15 წლის სირაძეს ძირითად შეჯიბრებაში სულ ცოტა დააკლდა, რომ ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეესრულებინა. მან დამატებითი ცდის უფლება ითხოვა და საწადელსაც მიაღწია — 1.12,9.

**ა. გურასაშვილი.**

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვებული ვ. სნიმშჩიკოვი (თბილისი) ასპარეზობისას.

ფოტო ავტორისა.

# ზედიზედ ორი წაგება

ლენინგრადსა და ძერჟინსკში გრძელდება სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატი. გასულ შაბათს გაიმართა მეოთხე ტურის მატჩები. ლენინგრადში ადგილობრივმა „ბალტიკამ" სძლია კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდს — 4:2, ხოლო მოსკოვის „ტორპედომ" — კიევის „დინამოს" (3:1).

ძერჟინსკში წარუმატებლად ითამაშეს თბილისის დინამოელებმა. შაბათს ისინი მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ თავიანთ ალმაათელ თანაკლუბელებთან (4:5), ხოლო კვირას მეხუთე ტურის მატჩი წააგეს მოსკოვის თანაკლუბელებთან — 2:5 (მანამდე მოსკოველებმა მოუგეს მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივს" — 5:0).

რედაქტორი მ. კაკაბაძე

„ლოკომოტივის" სტადიონი




სსრ კავშირის პირველობა

ხვალ

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი)

(ძირითადი შემადგენლობანი)

დასაწყისი 18 ს. 15 წ.